თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №8

თბილისი, 28 სექტემბერი, 2016

სხდომა დაიწყო 18.00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის მდივანი – იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე ბესიკ დევდარიანი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი ზვიად ოქროპირიძე;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ნანა ქავთარაძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკატერინე მაჩიტიძე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ნინო მინდიაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეუთო-ს სამმართველოს უფროსი ანი გაბრიჩიძე;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – ლანა ხუნაშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – ირაკლი კობახიძე, ნინო ვარდოსანიძე;
- „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე;
- „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“ – თამარ ზურაშვილი;
- საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – კახა კუკავა;
- „საქართველოს მშვიდობისათვის“ – შალვა კუპატაძე;
- „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ – მიხეილ ჩემია.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – ნატაშა როტჩაილდი;
- „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) – ქეთი ჩადუნელი;
- „ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია“ (OSCE/ODIHR) – ვედრანა ჰალილოვიჩი;
- „ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი“ – შორენა ლათათია;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა – ნინო ღუდუშაური;
- USAID – ხათუნა კუნჭულია, მონიკა აზიმი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – რატი თინიკაშვილი;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „საზოგადოებრივი დამცველი“ – დემეტრე ლომაძე;
- „სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი“ – ნინო ჩარკვიანი;
- „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – ნინო გვარამია;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ანა გურიელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1) **შესაძლო ძალადობის/ზეწოლის და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები:**

- **საარჩევნო ბლოკ „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“** წალკის მუნიციპალიტეტის სოფლების გამგებელთა მხრიდან „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ მხარდამჭერების/კოორდინატორების მიმართ სავარაუდო მუქარის შესახებ;
- ბათუმში უცნობი პირების მიერ პოლიტიკური გაერთიანების - **„პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“** - ოფისისა და ბანერის დაზიანების შესახებ.

2) **ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებზე შემოსული განცხადებების განხილვა:**

- **„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“** ლიდერ ირმა ინაშვილის განცხადება სოფელ პალდოს სამხედრო ბაზაზე მყოფი სამხედროებისათვის სპეცუბნის შექმნის თაობაზე;

- **საია** ქ. ლანჩხუთის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ შენობაში ა(ა)იპ „ტექსერვისის“ (დირექტორი ირაკლი ჩხაიძე) ოთახების კარებზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის („ქართული ოცნების“ სტიკერები) გაკვრის თაობაზე;

- **არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯე“** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრების ამსახველი მასალების, სურათებისა და ვიდეორგოლის გამოქვეყნების თაობაზე;

- **„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“** 19 სექტემბერს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან კობერიძისა და თბილისის მერ დავით ნარმანიას სპორტული ბაზის სამშენებლო სამუშაოებზე დასწრებასთან დაკავშირებით წინასაარჩევნო აგიტაციის წესების შესაძლო დარღვევის თაობაზე;

- **„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“** 24 სექტემბერს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან კობერიძისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებსა და პედაგოგებთან შეხვედრასთან დაკავშირებით წინასაარჩევნო აგიტაციის წესების შესაძლო დარღვევის თაობაზე;

- მუნიციპალიტეტების მიერ მოქალაქეებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინების დაგზავნასთან დაკავშირებით.

3) **სააგიტაციო მასალის განთავსების ხელშეშლის შესაძლო ფაქტები:**

- თბილისში (თაბუკაშვილის ქუჩა, მუხიანის დასახლება, საბურთალოსა და ბახტრიონის ქუჩების კვეთა) **„ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის“** მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების პლაკატებზე სხვა საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალის გადაკვრის თაობაზე;

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ **„შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტიის“** სააგიტაციო მასალის ბოძებზე გაკვრის შესაძლო ხელშეშლის თაობაზე.

4) სხვადასხვა.

სხდომის დასაწყისში კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის მიერ 21 სექტემბრის სხდომის დატოვების ფაქტი და აღნიშნა, რომ ამ პარტიის მხრიდან კომისიაში მონაწილეობაზე უარის თქმა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ პარტიის წარმომადგენლები სხდომებს აღარ ესწრებიან, სხვა მხრივ, ისინი განაგრძობენ კომისიასთან აქტიურ თანამშრომლობას, რადგან თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში და ხშირად დღეში რამდენჯერმეც როგორც წერილობითი ფორმით წარმოდგენილი განცხადებების, ისე ცხელი ხაზის მეშვეობით აწვდიან კომისიას ინფორმაციებს, რომლებიც რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ იგზავნება შესაბამის უფლებამოსილ უწყებებში.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა დამსწრეთ, ასევე, ამცნო, რომ, საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე, იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და 27 სექტემბრიდან კომისიის წევრად მოწვეულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც.

შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა მთავარი პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს, დამსწრე პირებისთვის წინასაარჩევნო პერიოდში კომისიის მუშაობის ფარგლებში დაწყებულ გამოძიებებზე მიეწოდებინა სტატისტიკური ინფორმაცია.

მთავარი პროკურორის მოადგილის განცხადებით, პროკურატურის ზედამხედველობით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიება დაწყებულია სულ სისხლის სამართლის 56 საქმეზე; მათ შორის, სსკ 125-ე მუხლით (ცემა), 187-ე მუხლით (სხვისი ქონების განზრახ დაზიანება), 177-ე მუხლით (ქურდობა); 151-ე მუხლით (მუქარა). დღეის მდგომარეობით,

ზემოდასახელებული სისხლის სამართლის საქმეებიდან 7 საქმეზე 8 პირის მიმართ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ 125-ე მუხლით (ცემა), რომელთა მიმართ გამოყენებულია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები; 12 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და, შესაბამისად, გამოძიება ამ საქმეებზე დასრულებულია. ამ ეტაპზე გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის 44 საქმეზე.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ცემის მუხლით დაწყებული საქმეების რაოდენობაზე, რომელთა რიცხვი, პროკურატურის ინფორმაციით, იყო 24 (აქედან 2 საქმეზე შეწყვეტილია გამოძიება). ბატონი გიორგის განმარტებით, როდესაც ცემის ფაქტზე აღიძვრება საქმე, აუცილებელია დაზიანების ხარისხის დასადგენად შესაბამისი ექსპერტიზების ჩატარება, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს, მაგრამ იქვე დასძინა, რომ სამართალდამცავი ორგანოები მაქსიმუმს აკეთებენ გამოძიების დროულად დასრულების მიზნით.

იუსტიციის მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ კომისიის სამდივნო 7 ოქტომბრისთვის გამოაქვეყნებდა შუალედურ ანგარიშს, რისთვისაც მოუწოდა ყველა უწყებას, მათთან რეაგირებისათვის გადაგზავნილ განცხადებებზე დროულად წარმოედგინათ განახლებული ინფორმაცია.

შემდგომ კომისიის სხდომაზე ნაჩვენები იქნა ვიდეორგოლი „ძალა ვნებს არჩევნებს", რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებმა ერთობლივად ჩაწერეს. პოლიტიკოსები – პარტიათა ცნობილი სახეები – ამომრჩევლებს მოუწოდებენ, კარგად გააცნობიერონ, თუ რა მნიშვნელოვანია არჩევნების ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში ჩატარება. სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების პარტიები საქართველოში მანამდე არასდროს გაერთიანებულან ერთიანი მოწოდებით არჩევნებზე ძალადობის წინააღმდეგ, რისთვისაც ქალბატონმა თეა წულუკიანმა საჯაროდ მადლობა გადაუხადა მათ. მინისტრის ინფორმაციით, ამ ინიციატივას გამოეხმაურა 12 პარტია. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ერთმა პარტიამ თავისი სურვილი მოგვიანებით დააფიქსირა, როცა ვიდეორგოლის გადაღება დასრულდა და მზად იყო ეთერში გასაშვებად, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების ძალისხმევით, ამ პარტიის წარმომადგენლის ჩაწერაც მოხერხდა და ეს ფრაგმენტიც დაემატა ვიდეორგოლს.

სხდომის თავმჯდომარე შეეხო პლაკატების გადაფარვის პრობლემას, რასთან დაკავშირებითაც კომისიის სამდივნოში არაერთი ინფორმაცია შემოდიოდა სხვადასხვა პარტიისა თუ დამკვირვებელი ორგანიზაციის მხრიდან. ქალბატონმა თეა წულუკიანმა მოუწოდა პარტიებს შიდა პარტიული დისციპლინისკენ, ხოლო ადგილობრივ

თვითმმართველობებს – ეფექტური ღონისძიებების გატარებისკენ, რაც შეიძლება პლაკატების განთავსების დამატებითი ადგილების გამოყოფითაც გამოიხატებოდეს.

შემდგომ სხდომაზე დამსწრეებმა მოისმინეს მერიის ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკური ინფორმაცია წინასაარჩევნო მასალების გამოქვეყნება/დაზიანებასთან დაკავშირებით. ბატონი მამუკა ჯაყელის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი) ინფორმაციით, ამ მომენტისთვის თბილისის მასშტაბით 237 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმია შედგენილი. მან იქვე დასძინა, რომ მათი მხრიდან უფრო ეფექტური რეაგირებისათვის, უმჯობესია, პარტიების მხრიდან პლაკატების გადაკვრის შესახებ ინფორმაცია მიწოდებულ იქნეს დაზუსტებული მისამართებით. ბატონი მამუკა ჯაყელი შეეხო კულტურული მემკვიდრეობის ურბანულ ზონებში საარჩევნო პლაკატების გაკვრის პრობლემასაც.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ საზოგადოებას მიმართა წინადადებით, ემსჯელათ და პლაკატების გაკვრის საკითხი კანონით დარეგულირებულიყო მომდევნო არჩევნებისთვის მაინც. ქალბატონმა თეამ იქვე მოიყვანა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი, რომლის თანახმადაც, სპეციალურად გამოყოფილი დაფების გარდა პლაკატის გაკვრა სხვა ადგილებზე აკრძალულია, რაც როგორც პარტიებს, ასევე მუნიციპალიტეტებს აძლევს ნორმალურ ვითარებაში მუშაობის საშუალებას.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ სამდივნოს დაავალა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისა და პროკურატურის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ინგლისურად თარგმნის უზრუნველყოფა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიწოდება.

სააგიტაციო მასალის განთავსების საკითხზე კომენტარი გააკეთა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი"). მან ისაუბრა საარჩევნო სიებში გარდაცვლილ პირთა არსებობაზეც და დაასახელა რამდენიმე მაგალითი მისი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით. აღნიშნულ საკითხზე ქალბატონმა თეა წულუკიანმა ბატონ დანიელს მიაწოდა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" ინფორმაცია, ამასთან, იუსტიციის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეისთვის არსებული სიები მაქსიმალურად გამორიცხავს მსგავსი ფაქტების არსებობას, თუმცა, მისი თქმით, აუცილებელია, ოჯახის წევრების მიერ მოხდეს გარდაცვალების დარეგისტრირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეცდომაში შეყვანა.

ab

აქვე სხდომის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა გარემოებებზე, რა შემთხვევაშია შესაძლებელი, სიებში ფიგურირებდნენ გარდაცვლილი პირები: სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 12 აგვისტოს მიაწოდა ამომრჩეველთა სიები, რომელთა საფუძველზე ამომრჩეველთათვის დაიბეჭდა არჩევნებზე მოსაწვევი სპეციალური ბარათები. ეს ბარათები მოსახლეობას დაურიგდა სექტემბერში. შესაბამისად, აღნიშნულ შუალედში (12 აგვისტოდან) გარდაცვლილ პირებზე ცესკოს თავისთავად არ ექნებოდა ინფორმაცია.

ქალბატონი თეას განცხადებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 22 სექტემბერს გადაეცა საბოლოო სიები, საიდანაც 12 აგვისტოდან 22 სექტემბრამდე პერიოდში გარდაცვლილი პირები ამოღებულია, მაგრამ აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ 22 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე ხმის უფლების მქონე პირთა რაოდენობაში ცდომილება გარდაცვალებების გამო კვლავ იქნება. მისივე თქმით, გაყალბების შანსი მინიმუმამდეა დაყვანილი, ვინაიდან 2014 წლიდან შედგენილია ფოტოსურათებიანი საარჩევნო სიები, რაც გამორიცხავს გარდაცვლილი ადამიანის სახელით ვინმეს მონაწილეობას არჩევნებში. აქვე ქალბატონმა თეამ დაამატა, რომ მომავალი არჩევნებისთვის საარჩევნო ბარათების დაბეჭდვამდე დასაგეგმია სიების ავტომატური გადამოწმების შესაძლებლობის უფრო ეფექტური მექანიზმი სერვისების განვითარების სააგენტოსა და ცესკო-ს შორის, რაც კიდევ მეტად შეამცირებდა ცდომილებებს.

დღის წესრიგის თანახმად, კომისიამ იმსჯელა ქალბატონი ირმა ინაშვილის („დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“) განცხადებაზე, რომელიც შეეხებოდა სოფელ პალდოს სამხედრო ბაზაზე მყოფი სამხედროებისათვის სპეცუბნის შესაძლო შექმნას. ამასთან დაკავშირებით სიტყვა გადაეცა ბატონ ზვიად ოქროპირიძეს (თავდაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი). მისი განცხადებით, კანონმდებლობის შესაბამისად, სოფელ პალდოში არანაირი სპეცუბნის შექმნა არ იგეგმება. როგორც ბატონმა ზვიად ოქროპირიძემ აღნიშნა, პალდოში 19 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით დისლოცირებულია 124 იუნკერი, რომლებიც გადიან პრაქტიკულ მეცადინეობას და მეცადინეობის დასრულების შემდეგ დაუბრუნდებიან თავიანთი დისლოკაციის ადგილს. შესაბამისად, მათი ახლომდებარე უბანზე მიმაგრების და სიაში შეყვანის საშიშროება არ არსებობს. მისივე თქმით, პალდოში იმყოფება 23 ვადიანი სამხედრო მოსამსახურეც, რომელთაც ვადა ეწურებათ სწორედ არჩევნების დღეს. აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები არ არიან გათვალისწინებულნი/მიმაგრებულნი ახლომდებარე საარჩევნო უბნებზე, ვინაიდან, ფაქტობრივად, ისინი სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილს დატოვებენ 2016 წლის 8 ოქტომბერს, დილით, და შესაძლებლობა ექნებათ, არჩევნებზე ხმა მისცენ მათი

რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ასევე, მუდმივ შტატზე დანიშნული მოსამსახურეები (2 ოფიცერი, 7 სერჟანტ-კაპრალთა შემადგენლობიდან და 1 სამოქალაქო პირი) არჩევნების დღეს ხმას მისცემენ მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. შესაბამისად, სპეციალურ სიებში არც ეს კატეგორია არ არის შეყვანილი.

შემდგომ სხდომის თავმჯდომარე შეეხო ბლოკ „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის" მხარდამჭერების/კოორდინატორების მიმართ წალკის მუნიციპალიტეტის სოფლების გამგებელთა მხრიდან სავარაუდო მუქარის შესახებ ფაქტს და სიტყვა გადასცა აღნიშნული ბლოკის წარმომადგენელს, ქალბატონ თამარ ზურაშვილს. როგორც ქალბატონმა თამარმა განაცხადა, მათი ინფორმაციით, 25 სექტემბერს, ღამით, მათ კოორდინატორებთან მივიდნენ წალკის გამგებლის მიერ მიგზავნილი პირები, რომელთაც განუცხადეს, რომ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრაზე ხალხის მობილიზებისთვის თავი დაენებებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები შეექმნებოდათ და ღია ცის ქვეშ დარჩებოდნენ.

ამ საკითხს გამოეხმაურა ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილი (მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი). მისი განცხადებით, იგი პირადად ესაუბრა წალკის გამგებელს, რომელმაც კატეგორიულად უარყო მსგავსი ფაქტი.

შესაძლო მუქარის ფაქტზე ისაუბრა ქალბატონმა ნინო მინდიაშვილმაც (შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი). მან აღნიშნა, რომ პოლიციაში გამოკითხულ იქნა განცხადებაში დასახელებული ორივე პირი. ბლოკ „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის" წალკის რაიონული ოფისის თავმჯდომარემ თემურ მიქელაძემ განაცხადა, რომ 25 სექტემბერს მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ნინო ბურჯანაძის მოსახლეობასთან შეხვედრებზე და მათ შორის არანაირი საუბარი არ ყოფილა კოორდინატორებზე ზეწოლის შესახებ. როგორც ნინო მინდიაშვილმა აღნიშნა, გამოიკითხა ერთ-ერთი კოორდინატორიც, რომელზეც მიუთითებდა ბლოკი თავის განცხადებაში და მან განაცხადა, რომ მის მიმართ ზეწოლას და მუქარას ადგილი არ ჰქონია.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა მიმართა ბლოკ „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის" წარმომადგენელს, თუ ჰქონდა რაიმე დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები საქმესთან დაკავშირებით, შეეძლო, ნებისმიერ დროს მიეწოდებინა სამდივნოსთვის ან უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და რეაგირება იქნებოდა მყისიერი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შეეხო არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯის" მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრების ამსახველი მასალების, სურათებისა და ვიდეორგოლის გამოქვეყნებას. ქალბატონმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ, სამინისტროსგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მსგავსი ფაქტი, სამწუხაროდ, მართლაც მოხდა, მაგრამ შემდგომ აღნიშნული მასალები სასწრაფოდ იქნა მოხსნილი გვერდიდან. სამინისტროდან კომისიას აცნობეს, რომ შესაბამისი დეპარტამენტის დონეზე მიიღეს ზომები, რათა მათ სოციალურ ქსელში მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდეს. ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ დაამატა, რომ საქმე განსახილველად გადაეგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

შემდგომ სხდომაზე განიხილეს „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ მიერ წამოყენებული ორი საკითხი: პირველი მათგანი შეეხებოდა 24 სექტემბერს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან კობერიძისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებსა და პედაგოგებთან შეხვედრას, რითაც ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო აგიტაციის წესების შესაძლო დარღვევას. პარტიის წარმომადგენელმა, ბატონმა კახა კუკავამ, განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტით დაირღვა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლი. მან თხოვნით მიმართა უწყებათაშორის კომისიას, მიემართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის და გამოკითხულიყო სკოლების დირექტორები და პედაგოგები, თუ ვის მიერ და როგორ მოხდა ამ შეხვედრის ორგანიზება. ბატონმა კახამ ეჭვი გამოთქვა, რომ შეხვედრის ორგანიზებაში „ქართული ოცნების“ შტაბს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ან რესურსცენტრი ეხმარებოდა.

ამ თემას გამოეხმაურა ქალბატონი ეკატერინე მაჩიტიძე (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე), რომელმაც განაცხადა, რომ 24 სექტემბერს ახმეტელის თეატრში მართლაც შეხვდა მინისტრი პედაგოგებს, თუმცა, ეს შეხვედრა არ ყოფილა სამინისტროს ან რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული. მისი თქმით, ხალხი და, მათ შორის, პედაგოგები, შეხვედრაზე „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბმა შეკრიბა, რომელზეც სტუმრის რანგში მიწვეული იყო მინისტრი. რაიმე სახის მოწოდებას პედაგოგებისა და დირექტორების, როგორც უწყების სისტემაში მომუშავე პირების, მიმართ ადგილი არ ჰქონია.

გლდანში ჩატარებულ შეხვედრასთან დაკავშირებით ისაუბრა ბატონმა ირაკლი კობახიძემაც („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“). მან განაცხადა, რომ ეს იყო სააგიტაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან კობერიძე. როგორც

გამომსვლელმა აღნიშნა, მინისტრის მონაწილეობა ამ ტიპის შეხვედრაში არ ნიშნავს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. ბატონი ირაკლის თქმით, მინისტრი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი და მისი სააგიტაციო ქმედებები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად, შესაბამისად, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 49-ე მუხლით განსაზღვრულ ქმედებებში ისინი ვერ მოექცეოდა.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა (ცესკო-ს წარმომადგენელი) განაცხადა, რომ ამ საკითხზე დაწყებულია წარმოება და საარჩევნო ადმინისტრაციიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს" უკვე გაეგზავნა წერილი მოსაზრებების წარმოსადგენად. ბატონი გიორგის თქმით, ცესკო შეეცდება, კომისიას უმოკლეს ვადაში წარმოუდგინოს გადაწყვეტილება.

„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის" მიერ კომისიაში წარმოდგენილი მეორე საკითხიც თემატურად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას შეეხებოდა, კერძოდ, 19 სექტემბერს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან კობერიძისა და თბილისის მერ დავით ნარმანიას სპორტული ბაზის სამშენებლო სამუშაოებზე დასწრებასა და წინასაარჩევნო აგიტაციის წესების შესაძლო დარღვევას. ბატონი კახა კუკავას განცხადებით, მსგავსად განათლების მინისტრის ქმედებისა, ამ შემთხვევაშიც იყო საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ნიშნები.

საკითხზე კომენტარი გააკეთა ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა, რომლის განცხადებითაც, 2016 წლის 19 სექტემბერს ქალაქის მერი ახორციელებდა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ადგილი არ ჰქონია რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ აგიტაციას. შესაბამისად, არ არსებობს და შეუძლებელია, არსებობდეს ზემოთქმულის მტკიცებულება. თბილისის მერმა მუხიანში სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა და მოსახლეობას გაესაუბრა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არასამუშაო დროს, კერძოდ, 18.00 საათის შემდგომ. ბატონი ნიკოლოზის განცხადებით, ადგილი არ ჰქონია საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას. მისი განმარტებით, მერი არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე; საარჩევნო კოდექსით იგი ითვლება პოლიტიკური თანამდებობის პირად და მასზე ეს შეზღუდვები არ ვრცელდება; ამასთან, სამუშაოს განმახორციელებელი სუბიექტის თანამშრომლები – მშენებლობაზე დასაქმებული მუშები, ვერ ჩაითვლებიან მერისადმი სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებად.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და თბილისის მერის საკითხებთან დაკავშირებით ცესკო-ს წარმომადგენელს მოუწოდა,

შეძლებისდაგვარად გონივრულ ვადებში დასრულებულიყო საქმის შესწავლა და მიღებულიყო შესაბამისი გადაწყვეტილება, რადგან რამდენიმე თვის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება ნაკლები ეფექტის მქონე იქნებოდა.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ბატონმა ვლადიმერ ბოჟაძემ („სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი") კომისიას შესთავაზა, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსის საკითხთან დაკავშირებული ცესკო-ს, არასამთავრობო ორგანიზაციათა და უწყებათაშორისი კომისიის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი სარეკომენდაციო მიზნით მიეწოდებინათ სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის. როგორც მან აღნიშნა, ეს ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული რესურსის გონივრულად გამოყენებას სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულ პირთა მხრიდან.

ქალბატონი თეა წულუკიანი და კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ გამოთქმულ წინადადებას. კომისიის თავმჯდომარემ სამდივნოს დაავალა, სხდომის დასრულებისთანავე აღნიშნული მემორანდუმი დაეგზავნათ შესაბამისი უწყებებისათვის.

შემდეგ კომისიამ იმსჯელა ლანჩხუთის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ შენობაში ა(ა)იპ „ტექსერვისის" ოთახების კარებზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის გაკვრის თაობაზე საია-ს მიერ წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით. ქალბატონმა თეა წულუკიანმა საია-ს წარმომადგენელს აცნობა, რომ განცხადება უკვე გადაიგზავნა როგორც მმართველ პარტიაში, ისე ცესკო-სა და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტში. ბატონმა რატი თინიკაშვილმა (საია) განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მათ მიმართეს საარჩევნო ადმინისტრაციას და ინფორმაცია მიაწოდეს უწყებათაშორის კომისიას. როგორც მან აღნიშნა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებული იყო სააგიტაციო მასალა („ქართული ოცნების" სტიკერები), ეს კი, მისი თქმით, წარმოადგენს დარღვევას, რადგან, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ შენობაში.

ცესკო-ს წარმომადგენლის განცხადებით, საკითხს განიხილავს ლანჩხუთის შესაბამისი საოლქო კომისია და სამართალდარღვევის შემთხვევაში კანონით განსაზღვრული რეაგირება იქნება მყისიერი.

აქვე იუსტიციის მინისტრმა ისაუბრა მანკიერ ქმედებებზე, როცა სახელმწიფო უწყებების ადმინისტრაციული შენობების გამოყენება ხდება რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის სასარგებლოდ. ამის მაგალითად ქალბატონმა თეამ დაასახელა შორაპნის

საზოგადოებრივი ცენტრის შემთხვევა, რომლის შეხვედრების დარბაზი ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა სპონტანურად და ყოველგვარი ნებართვის გარეშე გამოიყენა მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით. ამ საქმეზეც თავმჯდომარემ მოითხოვა ცესკო-სგან დროული გადაწყვეტილების მიღება.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე პირებს და შესთავაზა, დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გარდა განსახილველად წარმოედგინათ სხვა საკითხები.

წინადადებას გამოეხმაურა ბატონი დანიელ დავითაშვილი, რომელმაც ცესკო-ს მიმართ ორი საკითხი დააყენა: პირველი მათგანი შეეხებოდა საარჩევნო უბნებზე მყოფი ადგილობრივი დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების სპეციალურ საარჩევნო სიებში შეყვანის საკითხს, რადგან, ბატონი დანიელის განცხადებით, არჩევნებში დღევანდელი კანონმდებლობით, დაახლოებით, 30 000 პირის მონაწილეობა იზღუდება.

მეორე საკითხი შეეხებოდა საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესს და კონვერტში მოთავსების საკითხს. ბატონი დანიელის მოსაზრებით, ვინაიდან ამომრჩეველს რამდენიმე ბიულეტენი გადაეცემოდა ხმის მისაცემად, საჭირო იყო ცესკო-ს მიერ დადგენილების გამოცემა, რომლის საფუძველზეც, ამომრჩევლებს დაევალებათ თითოეული ბიულეტენის ცალ-ცალკე დაკეცვა ხმის მიცემის კაბინაში, ცალ-ცალკე დაკეცილი ბიულეტენებით გამოსვლა კაბინიდან და სწორედ ამგვარად განთავსება სპეციალურ კონვერტში. ბატონი დანიელის განცხადებით, ეს გამორიცხავს ბიულეტენის შენობის გარეთ გამოტანის საფრთხეს და რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას.

ბიულეტენების კონვერტში მოთავსების საკითხს გამოეხმაურა ცესკო-ს წარმომადგენელი. ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა განაცხადა, რომ კანონით ეს საკითხი იმპერატიულად არის რეგლამენტირებული და ვერ გაიზიარებს მსგავსი პროცედურის დადგენის შესახებ წინადადებას, ვინაიდან დამკვირვებლებს აქვთ უფლება, კენჭისყრის კაბინიდან გამოსულ ამომრჩევლებს ეჭვის საფუძველზე ნებისმიერ დროს მოსთხოვონ ბიულეტენების ჩვენება. ამასთან, კანონი ცალსახად ადგენს, რომ ბიულეტენის გარეთ გატანა ისჯება კანონით.

ბატონმა ვლადიმერ ბოჟაძემ მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია ამომრჩევლებს მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით ბიულეტენის შევსების წესზე კიდევ ერთ საინფორმაციო რგოლს შესთავაზებდა, ამ რგოლითვე მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ ნებისმიერი ნიმუშის ერთი ბიულეტენის გარეთ გამოტანა ისჯება კანონით, და რომ ამომრჩეველს აქვს უფლება, მიუხედავად მისთვის გარეთ გადაცემული წინასწარ შემოხაზული ბიულეტენისა, ხმა

მისცეს იმ კანდიდატს, ვინც თავად სურს (მაგ.: ყველა კანდიდატი/პარტია შემოხაზოს, გარდა იმ პირისა ან პარტიისა, რომელსაც თავად უჭერს მხარს).

კომისიის მდივანმა, ბატონმა ალექსანდრე ტაბატაძემ, მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს, რომ გასაგებია მათი პოზიცია დადგენილების მიღების ნაწილში, მაგრამ გასათვალისწინებელია დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების აზრი და მართებულ იქნება, თუ ამომრჩევლების ცნობიერების ამაღლების მიზნით ცესკო-ს მიერ გატარდებოდა სათანადო ღონისძიებები.

ცესკო-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ეთანხმება ბატონი ალექსანდრე ტაბატაძის მოსაზრებას პრევენციის სახით საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის წარმოებაზე და აღნიშნულ წინადადებას აუცილებლად დააყენებდა ცესკო-ს თავმჯდომარესთან, ხოლო გადაწყვეტილების შესახებ უახლოეს დღეებში აცნობებდა სამდივნოს.

დასასრულ, სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის და მომდევნო სხდომის თარიღად გამოაცხადა 2016 წლის 5 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 18.00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – ირაკლი კობახიძე;
- „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“ – თამარ ზურაშვილი;
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – კახა კუკავა.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – რატი თინიკაშვილი;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი.

სხდომა დასრულდა 20.30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი: